# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030108242930122

**№ 01-189/ო** **14 / აპრილი / 2022 წ.**

**„ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული მულტისისტემური ანთების სინდრომი ბავშვებში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე**

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ²“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული მულტისისტემური ანთების სინდრომი ბავშვებში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) თანდართული დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული მულტისისტემური ანთებითი სინდრომი ბავშვებში“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 2 თებერვლის №01-36/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი